

11 თებერვალი 1912 წელი

საოხუნჯო ალმანახი



# ახალი ხათაბაღა



ახალი ხათაბაღა—საოხუნჯო მასაღების კრებულია. გა-  
მოცა დროგამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მას-  
საღები გამოიგზავნება შრომის სტამბაში, ალმანახისთვის.

სიკვარულის მწვერულსკადასვლა.

## წითელ ხალათს

1147



მასხოვს ადგილი, სადაც ცბიერო  
ერთს ღოღო სიკვარულს ვეფიფებოდოდ,  
ტკბილის აღერსით გატაცებულნი,  
ხვევით და კოცნით ხარბოთ ვსტკბებოდით

მასხოვს სიკოცხლევ რა გულის ძვერით,  
იმ ნეტარ ღღესა ველოდებოდით,  
რომ ბედნიერნი, მსიარულეები,  
ალთქმულ ქვეყანას ველირებოდით.

მეცა მჯეროდა ვე შენი ფიცი,  
სამუდამოთა ჩემი მეგონე,  
ვითა პეპელა თავს გველებოდით,  
სულთ და გულთ მთლად დაგემონე,

მეარამ ამაოდ; აწი რას ვხედავ?  
სხვას აძლევ სიტყვას და შენსა გულსა,  
ახლა შორიდგან მასხარათ იგდებ  
იმ ჩვენსა მტკიცე ტკბილს სიკვარულსა!

ისეც ბედისგან მწარეთ დაჩაგრულს,  
შენ შოშიკიდე გულს ცეცხლის ალი,  
შენა ხარ ჩემი ბოლოს მომღები,  
ჩემი მტანჯველი, ჩემი მტარაილი!

გული არ რწმუნობს შენს განშორებას,  
მხოლოდ ნუგეში არის იმედი,  
მაგრამ საბრალოს ვინ მაძლევს იმედს,  
ღლატი მესმის გადაწყდაბედი!

მაგრამ იცოდე, ჩემო ჯალათო,  
შენსებ ვერვის ვერ შევიყვარებ,  
და ისრეჩავალ ბნელსა საფლავში,  
რომ შენ სიკვარულს თან ჩავიყოლებ.

ანნა კავთელი.

— ჩვენ გვეგონა მარტონი ვიყავით და აი, შეხედე  
რამდენი მოდიან ჩვენს გზაზედ.



# მალაროს მუშა

(ამონაკვეთი)

სულ კეშანი, ფიქრნი გულ-მწველ  
შიმშილისაგან გვეწვის მუცელი!..

მულამ ოფლის ღვრა, ბნელ მალაროში,  
პთელ სიცოცხლეში უთფნა სოროში!  
ასე დაგვძახის მუხთალი ბედი,  
არსით სინათლე, არსით იმედი?!

ჩვენი შრომითა სხვანი ძღვებიან!  
შინ კი ცოლშვილი გვეხოცებინან;  
ყველა იმღერის და ყველა ხაჯობს,  
ჩვენი კენესა კი —ესმის სამყაროს.  
აბა მოუსვი ლაფათა, მაღენს!  
განუწყვეტელათ შევძლებთ კი ამღენს?

ოხ, ღმერთო ჩემო! რათა ვარ მონა,  
სულ მალაროში, სულ ჯოჯოხეთად!  
ლუკმა არ მქონდეს ოფლისა წონა.  
და შუქთა-ხორა კი მყავდეს ღმერთად!  
არა, არა მსურს, სულ აგრე ვიყო,  
მონა მშვიერი, მონა შიშველი,  
არ არის წესი—სხვებს მე ვმოსავდე  
და თითონ მეცვას კონკები, ძველი!

მულამ ოფლის ღვრა, მულამ შიმშილი,  
აგრე იტანჯვის შრომისა შვილი!  
ოჰ, მეგობარო, სად არის ღმერთი,  
რომ ჩვენს სისაწყლეს შეხედოს ერთი!..  
სულ ჯოჯოხეთი,  
სულ ჯოჯოხეთი!.

ირ. ხევდიაშვილი.

## გურული სცენები

I

### გიგოლას ნამბობი

მოგხედა ღმერთმა და ფეხ-უბედურს ძველ წე-  
ლიწადს წუვიდა ფშიკი. უთენიე იტარცალა მამ-  
ლებმა და ახალმა წეოლიწადმა წკვერტა ზენაკარში.  
კი მავას ხვარანძავ მეთქი და მეც ვშლიქე განის  
კარში, ჩემი ბატონი ხარ და მოგეცეს ლხენა მე  
ვღვუცე და ვღვუცე ნასაკირალის ბომბასავით კრი-  
ლოვის დროში ღარღარა ნამარხი მაქანელია. აგი  
და ვიფიქრე ამყობიან-დამყობიან, შეიქნება ბახა-  
ბუზი, ფათქა-ფფათქი, ეიძვრება დეიძვრება ტყე მინ-  
დორი, მთა-გორი, მარა ვაი ნუ აქ თქვენს გიგო-  
ლას, ძვილბთაი ვინცხამ სამა ღირღარაში წუშტკა-

კუნა. ეგერ კენტრუტუხედ წუშტკაცუნა და ამით  
გა ავდა ყოლიფერი. ჰვი ვალა რას მოგესწარი, რა-  
ფერ გადასხეაფერდა დროი და ბორჯი. გადირიენ  
ყაზილარები, ჩორთი თქვენი ძველი დროის ჩვეუ-  
ლებასო, იგი ყველაი ყრუობა იყოფო. ახლა ობრა-  
ზოვანია-აო. ჩითლახი ხატებსო, იბრუწუნ ხუცებსო,  
მარხვა მალაზნებსო, მალაზნები ბერნბსო, მოყრობა  
ბუხებსო. უსწავლიან აგი რაცხა პარუსკაი ნარუს-  
კაი. ტანსაკმევი კულადაი, ქუღხედ ლოქორიეს  
ღენჭობაი. ენა ჩიქორთული, ყაბი მოსპარტული,  
ქალები შეთქუბნული, შებორკილი შესულრული,  
დგვორგლილი ფაფარაი, თავზე სოკო ჩაფარაი აბა  
ბიქებს მკლავი-მკლავში პა...პუკი, პრაშტა-პრუშ-  
ტი, სულ ერთია აგინიზა ნაოქავი უთესავი; მისიან  
სხვისიანი და აიდა სად რა გინდა. მარა მეკი ვერ  
მოგართვით ძველებღრა ჩვენ ბურა, მევიდა დავხთი,  
გამითენდა გვეთიენე, არ ქონებას არ უყურე, აქეთ  
ვეძვერე, იქით ვეძვერე და კაი თქვენ მოგივიდეს  
კას გასალოცავს მე წუშუყარე თავი—აგერ კიი ა-  
რუქაი, მასთან ქაქის ცუცხმუტაი, დურუბაით ბჭუ-  
ქურაი, კრიპუქი და გოზინაყი, ანძის ხელა ჩიჩა-  
ლაკი, ზედ სურო-კურკანტელაი, მევიშლიბე მე-  
ლატ თავზე და მოვეყვი სელოკვას მე და ჩემი ხვა-  
ლამაი:

დიდებულო დილო ბასილ  
მოგვეც წელი მშვიდობისა  
ჩოსაფალის ხევე ბარაქა  
ღვივის, ღომის, სიმინდისა.

აგეაშორე მულამ შარი  
პოლიციის კაცებისა,  
ნუ დაგვაგდებ საეიქოთ  
ამ დობტურებ ფერშღებისა.

ნურკ სახრიკათ აღოკატათა  
ნურკ საყვოფეთათ ვაქერებისა  
და ნურკ გასამწარებელათ  
ჩიჩუას და ბანკ ბისა.

ნურკა გაგვხიო საწველ-ფუროთ  
მატყუარა ხუცებისა,  
ნურკ საწიწკნათ სტარშინების,  
ზოგ ჩურჩუტ უჩიტოლებისა.

დიდებულო, დილო ბასილ  
მოგვეც წელი მშვიდობისა,  
ყაზილარებს რას უყურებ  
მე ძველი ვარ, ჰველ დროისა.

ჯიამეთი.

II

### ჩენდინი და ჩადირობა.

ვათენდა ახალ-წელიწადი დღა, ღმერთსა მრ-  
ვალს დავასწროთ, და შემიჩნდა ჩვენი პავლიეი ხა-  
თაბალაშვილი, წავიდეთ სანადიროთათა; კარგი თქვა



უთხარი! შევწაყრდით ლახათიანად თუ არა, პავლიამ გადმოიკიდა თოფი მხარზედ და მითხრა წავიდეთო. მეც გადმოვიკიდე თოფი მხარზედ და შიშროულათ მექიდა არ გავარდეს მეთქი; მეშინობდა ფარკაი რამ არ მომხდინა და წავედით. პავლიას თავის კვესია თან მისდევდა, რომელსაც კულის ქიცინზედ ეტყობოდა, რომ ძალთან ეხალისებოდა ნადარობა, რომ შევედით უმაწვილო ტყეში დნ... პავლიამ მითხრა აქანა ბოშო კურდღელი და შემოუარე ასეო, მიხეცნა... წავედი მარა რაღა წავედი, წლივს მივპროწიალობდი; თოფის ლულა ხელში მეჭირა, არ გავარდეს და არ დაფთხოს კურდღელი მეთქი. გვედელ პატარკაზე და შეიქნა ხლაწუნი და ყველა.. გვეხედე და ზე კაკალ ჩემსკენ არ მოდღუზურობს კურდღელი?.. ანა ეხ... ივარგეთქვა ესთქი... გადმოვიდე თოფი და ვხეხე... ვხეხე ბოშო მარა, ერთ ფიორზედ კი დავაცილე. სულ აქედან და პარიზი რომ არი იადენზე კურდღელს ავაცილე მარა, იმან შენი ქირი წაღოს რას დავეძებ, თურმე ძალღს არ მოვახევედრე?! აწივღ და ძალი მარა რა აწივღდა! თლათ არ გაყრუა ყოლიფერი? იმე რა ღმერთი გამოიწურ-მეთქი მე რომ ამ ფიქრში ვიყავი და გაადინა ბეზა... გავხედე, და რას შეხედავს! პავლიეი მსდევს კურდღელს... აგერ ჩირგვია; ეიწია და გადახტა. თურმე იქით ნახშირის ორმოა და ქე არ გადავიარდა კინწისთავით შით?! ვაიმე მიშველეთო დაიყვირა, მივედი ჩავიხედე ორმოში, რას ჩაიხედავ პავლიეი ებოტინება მიწის იქითაქეთ. მიშველეთო მითხრა, შემოუარე ორმოს, ქვეშიდან ორმო შემოღობილი ყოფილა; გამოვიარდევ ძლივს ძლივობით და გამოვაძვრინე როგორც იქნა პავლიეი ამოვედით ზემოთ, კუროლელა, თურმე წასულიყო. ძალღზედ დიდი ვაი ვაგლახი მოგვივიდა, მარა როგორც იქნა შევირიგდით და დიდი სიცილი შეგვექნა პავლიეი სულ იმას ამბობდა, თუ ის როგორ გადავიარდა ორმოში, მოვდივართ და მოვიციინთ. მე იმდენი კი ვიცინე, რომ ლარი გამიწყდა და შალღობი ფეხებში გამეზღანდა ამ დროს პავლიას რაღაც ფაწუნი მოღანდებია. კურდღელი ჰგონებია იმ განიქებულს და მუჯღუგუნუ არ გამკრა გვერდში?! წავედი გორგიალ-გორგიალით მარა რა წავედი - წავედი და შიგ ღრმის ნაკვალევში, დიდ ტოლოში ვკარი თავი. მიშველეთო ბიჭო, პავლიავ მეთქი, დავიყვირე და გადავბრუნდი მაშკა ღორივით ამოგვანგლილი. საღ არის შენი პავლიეი! თურმე მას გონებია თითონ გადავიარდა ორმოში და იმან იქით მორთო ყვირილა.

ოხ, მკითხველო! ნუ შეგყაროთ ასეთ ხათაბალას, თორემ თქვენც ბევრს იციანებდით და იყვირებდით.

— ჩ. ნ-მანჩინი.

III.

(დათოველას ნაამბობი)

ეს! ჩემო ძამია და კეთილო, სადღა ის ხალიხი, მხიარულება, სიცილი, ხუმრობა წინათ რომ იყო გურიიში. ყველაფერი შეცვლილია ყველაფერს დაეკარგა თვისი ელფერი, თვისი იერი. წინათ რომ გამოვიტანდი საკალანდო გობს და ჩიჩილასკ გავაბჭრიალებდი სანთლებით, გული გამინათლდებოდა და ეხლა, ისეთ ჩამობნელებული იყო ჩემს ქოხში, რომ გული მექექებოდა როცა ვუჭურებდი. აღარც გობი, აღარც ღორის თავი, აღარც ჩიჩილაკი და აღარც მაქახელას გრიალი ფუ ასეთ ცხოვრებას ღმერთო შეგვცოდე და არც მინდა ასეთი გამწარებული სიცოცხლე მართალი თუ ვთქვი რაზე, ხელათ მათრახი, ზრ თქვი ვერც ამას მოითმენ და ქე ხარ ასეთ გაიცადენში კაცი. ცოლშიელი არ მებრალვებოდეს, შერაცხვეს დათოველა ბიჭი, თუ ზელიმხანს არ გადავაქარბო პაწას კი ვფიქრობ შევიძლებ თუ არა ზელიმხანობას, მარა თუ გამიქირდა მეგონი მეტრც შევიძლო. გამოქვაბულებში შეძრომ-გამოძრომას ზელიმხანზე უფრო შევიძლებ. ფილარები მოგვეციო რომ გვეჩიჩინებინ, მიცემე კი არა, მეც მხათა ვარ ფილარათ გადავიარდე. ანას, რაც უნდა დამემართოს მიანც ვიტყვი თუ გინდა დღესვე გაოქილი გამოგზავნოს მამასახლისმა პრისთავთან ჩოხატაურში.

ასკ. პროკოფია.

მესტვირული

(დაგვიანებული მილოცვები გურიისათვის)

კვალად ჩავბერავ ქამანჩას მესტვირე, ძველის ძველია, მილოცვ-მოლოცვას ვაპირებ ღმერთო მიმართე ხელია. პირველ გილოცავთ ოხურგეთს ახალ-წლის გათენებას, წამოგზონძლივა კედლები, რც ცდილობთ განახლებასა იქვე საღამი ნაცნობებს ღირს-შესანიშნავს ძველ გმირებს; ვასილს, დიმიტრას, ნიკოკას, რეაქციისა ტიკინებს. იცოცხლეთ დავითიანათ ფინებო ერმოლოვისა ხულიგანების ლიდერნო, წვეწრო გურიის ბროვისა. აქედგან კარ-კარ დაგივლით სოფლის ხახლს განაწამებსა,



არ გასვებენებენ სვავ ორბნი ურცხვათ გკორტნიან თვალებსა.

მიწაცა ტუნწობს ტიალი ზამთარ-ზაფხულიც ცუდია, გისურვებ ჭირში გამაგრდეთ მტერს კი უჭიროთ ხუნდია, გურიის მამასახლისებს, ახლათა არჩეულებსა, გისურვებთ არ დასდგომოდეთ ძველების გზასა მრუდესა

კულტურულ საქმებს, მასთან გზებს ვინძლო ათხოვით ყურები, თქვენც არ სძიებოდეთ მუშა ხალხს, იკმაროთ გამაგირები!

თუმც ძველები ხართ მწერლებო ზოგს მოსეც კი გჯობთ ბევრათა, გამჟღავნებელი არვინ გყავთ, მით რჩებით უსოდველათა.

ძველ წელიწადთან ძველი ზნეც გისურვებთ გაშორებოდეთ არცა სწყურებოდეთ, ჩარჩობდეთ კულებიც დაგმოკლებოდეთ.

ალილუია ხუცებო, თქსენკენც მოვმართავ სტვირხაო, გამოშიმულხართ საკურთხიათ, კონტრუშობთ, იქნევთ წიხლსაო მებრალვით ღრამის ქანქარით ჯიბებს გიტენენ ძალითო, საწყესო დუშაა, მოთაღეთ ცხად, მალვით, ნებით, ძალითო.

არ დამეჩუტო გუდუნავ შენც ჩემო სტვირო მარგეო, მომწყინდა შორე მგზავრობა, ლანჩხუთლებს მოგვებარგეო,

რას იღრიკებით ვაჭრებო რათ უფრთხით განათლებასა, რათა ყოფთ ვარსა, ქალაქის ბულვარს და განათებასა?!

ლანჩხუთის ინტელიგენტებს, ინტელიგენტკა ქალებსა, გისურვებთ ას ტლიკვს კალანდას დაესწრათ მაგისტანებსა,

თუ რომ სიზმარი არაა გილოცავთ გამოღვიძებან მგონი რალაცებს აპირებთ, მეც მოგვხსენებთ გინებას

ვარგოდეთ ხელს შევიწყობდეთ კეთილი ზოქაულოო, აკურთხოს ღმერთმა არ უყვარს ლანძღვა, მათრახი, ტყულოო.

სხვაც მარა, არა ქამანჩას ცოტა ხანს მევედებ განზედა, ვინც მონინატროს შხანკოლა, შემდეგ მიადგეს კარზედა.

შხანკოლა.

# ჩვენებური საქმის ბოლო



ეხლანდელი რეცეზენტი, მუდამ უნდა იყოს ფრთხილი, თორემ ურცხვი არტისტიდან არ შერჩება წინა კბილი!

## აგენტი და მიკიტანი

(ბცენა)

(შემოდის ქალაქის მოხელე და მიმირთავს მიკიტანს).

**მოხელე.** ხაზენო, აბა აქ მობძანდით!

**ხაზენი.** (აქამდის რალაცას ანგარიშობდა) რა გნებაეთ? (ადგება მძიმეთ).

**მოხ.** რაც საქიროა ყველაფერი გაქვს?

**ხაზ.** (ხუმრობით). რაც შენა გაქვს მეცა მაქვს, სავა რალა გინდათ?!

**მოხ.** მოიცა, შენ სულ ხუმრობის გუნებაზე აარ! რას გეუბნები გაიგე! თორემ კამისია მოვა და მერე გვიანლა იქნება.

**ხაზ.** კაცო, შენ ხომ ჩემი ძმა კაცი ხარ, მითხარ რალა!

**მოხ.** კარგი ფინტილაცა გაქვს?

**ხაზ.** ასიგნაცია? ასიგნაცია რომელია! ფულები? მაქვს მაშ! პატენტისთვის მოვადგროვე, ზოგსაც მოვადგროვებ, სხვა რალა გინდათ?

**მოხ.** მაშ შენ ჯერ არაფერი გცოდნია.

**ხაზ.** ვა, არაფერი გცოდნია რომელია? მაშ ახლად ხომ სასწავლებლათ არ წავალო?!



**მობ.** ჰო და ასიგნაცია კი არა, ფინტილაცია.

**ხაზ.** ფრინტილაცია რომელია? მითხარი რაღა?

**მობ.** კაცო, ფინტილაცია არ იცი რა არის, აი, რო უბერავს.

**ხაზ.** რო უბერავს? ჰოო, ეხლა კი გავიგე. ფუქსი? მაქვს მაშ, მაგრამ ეხლა აღარა ვხმარობთ. რუმბები ხომ აღარა ვხმარობთ, რომ ფუქსი შევიწიხოთ!

**მობ.** კაცო, ფუქსი კი არა. ფინტილაცია, აი ფინჯრებიდან რომ უბედავს და ჰაერს ასუფთავებს.

**ხაზ.** მერე, მოიცო, მოიცო, მეც უნდა მქონდეს, რომ დამიბეროს?.

**მობ.** უნდა გქონდეს მაშ.

**ხაზ.** კაცო ჯერ უამისოთ რა დღეში ვართ, დამის საცივით გავფიჩხდე და ეხლა იმანაც რომ დამიბეროს ხომ მოვკვდი კაცდევ, რა კათათვე ხომ არ არის?

**მობ.** როცა გიბრძანებენ უნდა შეასრულო.

**ხაზ.** კარგი...მახლას სხვა?

**მობ.** ელექტრონის სინათლე გაქვს?

**ხაზ.** არა, ლამფები მაქვს.

**მობ.** არ შეიძლება ლამფები.

**ხაზ.** კაცო, ლენერლის სახლებში ლამფები ანთია, იქ შეიძლება და მიკიტნის ლუქანში არ შეიძლება?

**მობ.** ლაპარაკი მეტია.. ვაშოლკები გაქვს?!

**ხაზ.** რაა, მეშოკები? რათ მინდა? რა ალაფი ვარ?

**მობ.** მეშოკები კი არა, ვეშოლკები, აი, ტანი-სამოსის ჩამოსაკიდები!

**ხაზ.** კაცო, კახონი თრიატი ხომ არ არის? მაგ. რამ მახლას.. სხვა?

**მობ.** კედლები უნდა შეადებინო.

**ხაზ.** კაცო, ორი თვე არ არის რაც შევადებინე, კიდე?

**მობ.** დილ კიდე.

**ხაზ.** ვა, ბარემ თქვით რომ ერთი მხატვარი სულ აქა მყვანდეს წელიწადი თორმეტი თვე რაღა!

**მობ.** ეგ ჩემი საქმე არის. კუხნა გაქვს?

**ხაზ.** მაქვს მაშ.

**მობ.** ჰოდა შიგ წყალი უნდა გქონდეთ.

**ხაზ.** კაცო, მაშ კუხნა უწყლოთ იქნება?

**მობ.** აბა ვნახოთ. (დგება მიდის და უკან ბრუნდება). კაცო სად არის მანდ წყალი?


**ხაზ.** არა ნახე ვედრით რომ იდგა?!

**მობ.** ვედრით კი არა კრანი უნდა გქონდეს გამოყვანილი, გესმის?

**ხაზ.** „ვედაპრაფოლი?“ ჰოო, ეხლა კი გავიგე, მერე?

**მობ.** კუხნა ცალკე უნდა გქონდეს.

**ხაზ.** მაშ წყალი სად უნდა მქონდეს?



**მობ.** სადაც კუხნა გექნება.

**ხაზ.** ცალკე რომელია? ოცი წელიწადია დუქანი მაქვს კუხნაც იქ არის, ეხლა უნდა ცალკე გავაქეთო?

**მობ.** დილ, ცალკე.

**ხაზ.** მერე სადა მაქვს ალაფი?

**მობ.** სადაც გინდა, ეგ ჩემი საქმე არ არი.

**ხაზ.** ვა, ავტიჯან! ეგ მართალია, შენი საქმე არ არი, მაგრამ ახარ სად გავაყეთო ეგ ოხერი კუხნა და? ან თუ არა და. თუ კი კუხნა ცალკე შექნება, მაშ ის ოხერი ფრინტილაცია რაღაც ჯანანაბა, ის რაღა საქირია ჰაა! ერთი მითხარი!..

**მობ.** ეგ ჩემი საქმე არ არის. შენ ყური დამიგდე.. კუხნა რომ გააკეთო და წყალი გამოიყვანო, თავზე ფილტრა უნდა ჰქონდეს, გესმის?

**ხაზ.** ვა, ვა, რას მეუბნები კაცო..! თავსე ლიტრა რათ მინდა; შუშამბაზი სრმა სუმბათა ხომ არა ვარ, თავზე ლიტრა დავიდგა?!

**მობ.** ლიტრა კი არა, ფილტრა, გესმის? წყლის საწურავი.

**ხაზ.** ვაი მეტაი ასტუ, მეღაი ასტუ! კაცო წყალს რაღა გაწურვა უნდა ჰაა? ფლავის საწმრავი ვამიგია და მაქვს!

**მობ.** შენ ბევრი რამე გავიგია და გავიგებ უიდეც ააა... ჩასაფურთხებელი რამე გაქვს?

**მობ.** ვა, ლმერთმა დამიფაროს! კაცო ვისთვის რა დამიშვებია, რომ ჩამაფურთხონ კიდეც?



**მობ.** რა სულელურათ მელაპარაკები? შენ კი (ეცინება) არ უნდა ჩაგაფურთხოხონ, პატარა ყუთები უნდა გქონდეს ღუქის ყოველ კუთხეში, შიგ ნახერხით სახსე და შით ჩააფურთხოხონ ხოლმე მუშტრებმა, გაიგე?!.

**ხაზ.** კარგი, მერე სულ ვგ არის?!

**მობ.** ჯერ სად ხარ, რამდენი საყენია შენი ღუქანი?

**ხაზ.** ეხლა ეგა მკითხე! მე რა ვიცო, რომელი ინჟენერი ვარ?

**მობ.** ინჟენერი გარ თუ დოხტური ასეა, თორმეტე საყენი უნდა იყოს.

**ხაზ.** (გაკვირვებულ) რომ არ იყოს?!

**მობ.** ნება რთვის ვერ აიღებ.

**ხაზ.** კაცო, ძავ, ჩემო პირის ზიარებავე, ერთი დაფიქრდი რას მეუბნები და.., ეს ოხერი შენობა მე ხომ არ ავშენე ჰა? პატარა თუ გამოვიდა ნებას არ მომცემენ მაშ საადან გავადილა? რა კევი ხომ არ არის, ან ცომი, რომ ჩემ კეუაზე გავწიო და გამოვწიო, ერთი მითხარი და?!

**მობ.** შენ ისე მელაპარაკები, თითქო ჩემის ბრძანებითა ხდებოდეს სუყველა ეს! მიბრძანებენ და მეც ჩემს მოვალეობას ვასრულებ, თუ მადლობელი არ იქნები სულ არაფერსაც არ გეტყვი! მაშინ ხომ კარგი იქნება, რომ კამესია მოვიდეს, მზათ არაგქონდეს და პრატაკოლი შეწოდინონ?!

**ხაზ.** არა, არა აგენტჯან! ვა მაგას ვინ გეუბნება? ღმერთმა ააშენოს თქვენი ოჯახი, რომ შენ ვალს ვგრე იხდი (იოხრებს). ახ. ნეტავი ვისხედაც ნისიები მაქვს, სუყველამ ეგრა შენსავით შეასრულონ და მომითანონ ხოლმე ვალი, ეგჰ, მერე?

**მობ.** (მიმოიხედავს) კედლის ფეჩი გაქვს?

**ხაზ.** რა კედლის ფეჩი?

**მობ.** (ეცინება) ღმერთმა რომ არ იცის.., (თავს ველარ იზაგრებს) ხა, ხა, ხა!.. კედლის ფეჩი არ იცი!.

**ხაზ.** მერე რო ვიცი?

**მობ.** მერე და უნდა გქონდეს.

**ხაზ.** სადა?

**მობ.** აჰ, ღუქანში!

**ხაზ.** კაცო, სახლში ჟესტის ფეჩი მიდგია, იმასაც ხან ვათობ და ხან არა და აჰ კედლის ფეჩი გავმართო!

**მობ.** დიად უნდა გამართო!

**ხაზ.** ჰმ! მერე?!

**მობ.** ფეჩისადგილი გაქვს?

**ხაზ.** მაქვს მაშ?

**მობ.** სადა?

**ხაზ.** ეზოში.

**მობ.** ეზოში კი არა, ღუქანში!

**ხაზ** ვა, რას ამბობ კაცო? ღუქანში ხეხისადგილს რა უნდა?! იმას ავაყრ ოლებინებ აქაურობას? მერე ვინდა შემოვა?, ხომ არ გაგ... (თავს იქერს) ფიე-!

**მობ.** მოიცა... ფეჩისადგილი ორი უნდა გქონდეს გესმის? ორი!

**ხაზ.** ვა, ვა, ორი რაღა ამბავია?!

**მობ.** დიად, (ეცინება) ერთზე უნდა ეწეროს: „მუქსკაია“ და მეორეზე—დამსკაია“: გაიგე?!

**ხაზ.** (გაკვირვებულ) მოიცა... დამსკი რაღა საქიროა? კაცო, თუ ღუქანში დედაკაცებს არ უშვებენ მაშ ფეჩისადგილი რაღა საქიროა ჰაა?.. თუ არა და ორი ფეჩისადგილი, ოცი თუმანი ფული დაჯდება. მერე სად არის ამოდენა ფულები ჰაა? თუ არაა?! თუ არა და ვის მამულში გავაკეთო ახალი შენობა ვაი თქვენს იქით არ წავიდეს სამართალი!

**მობ.** როგორც გნებავდეთ! (მიდის).

**ხაზ.** (თვალს გააყოლებს) ჰაი გიდი) ოხერ ჯამაგირებს იღეთ, აბა, რა დარდი გაქვს! ჰმ, ელექტრონიო, ფრინტილიციაო, ლიტრაო, ფლანიო, ფსტანიო, კედლის ფეჩიო! ეეე! ბარემ თქვით დაკეტეთ და წადით თქო რაღა, რაღას გვაწვალებთ! ეეეჰ, მახლას, მაგითი მუკლის გლეჯაც ვიცი... მონოპოლია უნდათ რაღა! ნა აღიშ ნაველიშ!

**მ. ლელაშვილი.**

**მიკიტანი ვასო.**

ამბობენ, რომ ეგრაზე მიკიტანი ვასო. თითონ დაავტომობილობს, ყურს არ უგდებს ძმასო; ნამეტანი სიმსუქნისგან ველარ იღებს ხმასო, სირცხელიისგან მელოტია, თავზე ითვლის თმასო!

**შმაგა.**

**მშვიდობით სატრფოე**

(სოფლად გაგონილი)

ისე ვიყავ თყრამეტ წლამდის რომ სიყვარულს ვერა ვგრძობდი და იმ სატრფოს, ვინც დამტანჯა, მაქნობამდის ვერა ვსცნობდი!

მაგრამ მალე, ამ უმანკოს, მომეწვინა უცხო სული და როს ვნახე დაიტანჯა მას დღეს აქეთ ჩემი გული.



დღით ორშაბათს, ხუთ იანვარს,  
წიგნი მქონდა ქაბუკს ხელში;  
კითხულობდი, ის დრო იყო,  
რომ გამოჩნდა სატრფო ჩვენში.

სატრფოს ხალხი მოჰყვებოდა,  
ზოგს ვხედავდი და ზოგსაც ვერა,  
გამიტაცა საღალა სევდამ,  
ამივარდა გულის ძგერა.

კითხვას თავი მივანებე,  
შეძრჩა მხოლოდ წიგნი ხელში;  
ვხედავდი რომ მოჰქროლავდა  
ვენაცვალე მას გულ-მკერდში.

თუმც იმ წამსვე მისი ტრფობა  
გულს ჩავიდე, განვიზრახე,  
მაგრამ გითხრა ხუთ წელიწადს  
დავიტანჯე, გავილახე

რას ვიზამდი როცა ირგვლივ  
მცხოვრებელთა იყო გუნდი;  
ბევრჯერ წაველ რომ მენახა  
მაგრამ ჯერ გამოგებრუნდი.

არ მინდოდა მოეტანა  
ჩემზე ვინმეს რამე აზრი  
და მე ჩემი უვიცობით  
გამეღიანძლა ტურფა-ნახი.

იმან დამწვა, დამანელა,  
გამიჩინა ცეცხლის ალი,  
რომ სატრფოსთან არსადან  
გზა არ იყო მისავალი.

ვერას გავხედი მე საწყალი,  
მთლათ მუხლები დამეღალა,  
მსურდა თავი შემეწირა,  
მაგრამ აღარ მქონდა ძალა.

რალა ბევრი გავაგრძელოთ  
რომ გავიდა ხუთი წელი,  
ერთმანეთს დაუახლოვდით  
და მივეცათ ხელში ხელი.

მე ჩემი ვსთქვი, მან თავისი  
გულის მომეცა სიხარული  
და უთხარი რომ მაქვს მისი  
ხუთი წლიდან სიყვარული...

მაგრამ, კრულმა არ ირწმუნა,  
გაიბუტა, როგორც მტრადი;  
შემდეგ სახლში წაქუცუნულდა  
და მომწყვიტა გულს იმედი.

მე ავტირდი, შემეშინდა,  
მეგონა თუ გაამხელდა,  
მომისპობდა მით სიკაცხელს  
ტოლებში არ მომალხენდა!?

მაგრამ არა, არ გამწირა,  
არ გამხადა მიწის წერა;  
მოირბინა ისევ მალე,  
დამიმშვიდა გულის ძგერა.

და ამ დღიდან ჩაეყარა  
ჩვენ სიყვარულს საძირკველი,  
გვქონდა ხშირათ გამართული  
ერთმანეთთან საციქველი

რომ გამოჩნდა, თუმცა გვიან,  
ერთი ვინმე სულის მტერი;  
არ დავგზოვთ, გავვიწყარა  
მან დროება სანატრელი.

ავი მტერი ქალი იყო:  
ტან-დაბალი მსხვილი, დიდი-  
შენთან შენი, სხვასთან სხვისი  
გულ ცრვი და ენა ფლიდი.

მოგვაშორა ჩვენ ერთმანეთს  
გადიყარა გულზე ქირი,  
ავვისრულა იმ წყევულმა  
წარსულს წელში დანაბირი

დამიკარგა საღალა სატრფო,  
მომაყენა გასაქირი,  
მაგრამ მინც არა ვკრთები  
და არა ვარ ანატირი.

რადგან ტურფამ ასე მითხრა:  
„არ შემინდე, არ მოვკლები;  
როს დადგება გაზაფხული  
ისევ მალე გამოვიჩნდები!“

„ხოლოდ მახსოვს, ვერ ვივიწყებ,  
რომ მიძახებ მუდამ „დღეშკას“  
და თუ ხმას არ გავიღებდი  
მომისპობდა უცბად სუნთქვას!“

მეც ხუმრობით ვეძახოდი:  
„სად ხარ ჩემო შუქურ ვარსკვლავ;  
ხმა გამეცი, თორემ ფფიცავ,  
რო ორც ღორი ისე დაგკლავ“.

ეჰ, მშვიდობით ჩემო სატრფოვ,  
ეხლავ კმარა გენაცვალე  
და თუ მოგვდე, არ მიტირო,  
მხოლოდ მიწა მომაყარე!!

ავტი გეწამე.



სტოლზედ თავ-პირის მტვრევაჲახალ კლუბში, ოთხშაბათ პარასკეობით.



ეს იაფი თამაში,  
მართლაც მშვენიერია,  
მაგრამ სტოლს ვერ იშოვი,  
არ მოგიკვდეს მტერი!.

### ფოტო

ქიათურა. ვესტრემანს. წინადად ნაიკში  
თავსებული ფოსტა თქვენ არ შეგუბებოდა. იგი ვეუთუ-  
ნოდა წინა წერილს და არა თქვენსას. თქვენი წერილე-  
ბი არც იმდენი სამსახურისმგებელია. რომ იმისი შეიმუ-  
შინდეს, მაგრამ სიმღერება (იბოძალა ვაჭრებისა მანერ  
არ დაიბეჭდება. ლექსთა წეობა სრულებით არ ვარგა.

ქუთაისი. ირინესშეილს.  
ჯერ ნორხი სარ, გერე ჯობდა  
დაგესწავლა კათისა, წერა  
და შემდეგ კი — გინდ მითხრობა  
და გინდ სტენა დაგეწავა,  
თორემ ასეთ სისულელეს  
ჯერე ვერ დაგებულდეთ, ვერა.

ყვირილა ა. გეწავს.  
იწერებით „ამ ჩემს ლექსებს  
თუ დაბეჭდეთ სრულათა,  
ერთი სიტყვის შეუცვლელად?  
აგრე, გასმულათაო!  
ათ ცალ გასეთ გაკვირდით  
და შეგატყებთ ფულათაო“.

მაგისათვის, ჩემო ძმა,  
ნუ ირჯები ტყუილათა.  
გადანუხლავთ, წაფიკითხვთ,  
გაფასწარებთ კვალათა,  
ზოგს დაბეჭდავთ და ზოგს არა,  
იმითომ გეაქვს კალათა —  
რაც რომ არ მოგეუწონება  
შიგ ჩვაგდებთ იმასათ,  
არც შენ გარეგე, ეგეჯაფერზე  
გვარის გამოგვიმისათ.